ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №209/01-01 27.11. 2014წ.
დანართი №1

2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სალერნოს უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი საბაკალავრო და სამაგისტრო სტიპენდიების მიმღებთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატთა შეჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია თსუ-სა და სალერნოს უნივერსიტეტის თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის გამოყოფილი ერთსემესტრიანი სტიპენდიების მოსაპოვებლად, კონკურსში მონაწილე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის, სოცილურ და პოლიტიკურ, ჰუმანიტარულ, ფსიქოლოგიისა და განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის მეორე და მესამე და მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტებს შორის სტიპენდიანტების შერჩევა.

2. კანდიდატი

კონკურსზე დაიშვებიან თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის, სოციალურ და პოლიტიკურ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო, ფსიქოლოგიისა და განათლების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის მეორე და მესამე კურსის და მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტები, რომლებიც ფლობენ იტალიურ ენას.

3. სტიპენდიანტის შერჩევა

ა) სტიპენდიანტთა შერჩევა ხორციელდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

1. მოტივაციის წერილი
2. ზეპირი პრეზენტაცია (იტალიურ ენაზე)
3. აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA)

ბ) კონკურსში მონაწილე სტუდენტების მიერ წარმოდგენილი იტალიური ენის კომპეტენციის დამადასტურებელი სერთიფიკატი/ცნობა სტიპენდიანტთა შერჩევისას არ გამოიყენება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანდიდატთა საბოლოო საკონკურსო შეფასება თანაბარია.

4. კომისიის შეფასება

ა) კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასებას.

ბ) კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე -	10 ქულა
ძალიან კარგი -	9 ქულა
კარგი -	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი -	7 ქულა
საკმარისი -	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი -	5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის მოტივაციის წერილი ან ზეპირი პრეზენტაცია შეფასებულ იქნება არადამაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

5. გამარჯვებულის გამოვლენა

გამარჯვებულის გამოვლენა ხდება კომისიის მიერ ზემოაღნიშნულ შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით სტიპენდიატთა შერჩევის გზით.